სამშაბათი, ივლისის 29 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

ყოველ დღე ; მ ე ს ა მ ე.

რედაქცია

სამაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ როგორც ქუთაისის, ისე პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი 10 ივლისის შემდეგ აღარ მიუვათ იმ პირთ, რომელთაც გაზეთის დასაკვეთი ფული გადახდილი არა აქვთ. პროვინციის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ფული გამოგზავნონ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის სახელზე. ვისაც 10 ივლისს გაზეთის ფასი სრულიად გადახდილი არ ექნება, მას გაზეთის გზავნა შეუწყდება და ფულის ასაღებათ ზომები იქნება მიღებული.

განცხადება.

ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში კვირას 3 მარიობისთვეს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება ნახმარი თეთრეულობა, ჯარის კაცთა ბლუზები და შარვალები. ჩექმის საპირეების ჩამონაჭრები, ძველი ფეხსაცმელები, კონსერვები. დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე პირველ საწყობში (ჭავჭავაძის ქუჩა დიდი ციხის პირდაპირ) დეზინფექცია ტანისამოსებისთვის და ძველი ფეხსაცმელებისთვის სავალდებულოა მყიდველისათვის. განცხადებები ამ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაზე ფასის აღნიშვნით მიიღება ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში დახურულ კონვერტებში დილის 11 საათამდე 3 მარიობისთვისა 1919 წლ.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა.

მუშაობს ბბ. **ქორქოლაძის** ხრესილის სამკურნალო **აბანო** იმოგვება სუფსა ბინა, სასმელ საჭმელი.

ქუთაისის 1-ლი საერთო განათლების კურსები

(**უფლებებით**)

გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად (მესამე ვიპუსკი) უკვე დამთავრდა. ამ ჟამად მეცადინეობს 4, 5, 6 და 8 კლასები. ახალი მოწაფეების მიღება გრძელდება. უ. დ. სასწავლებლებში კურს დამთავრებულები მიიღება გამოუცდელად მეხუთე კლასში. ჩამორჩენილებისათვის საგნებში სწარმოებს უფასო რეპეტიციები შესაფერ კლასებში მისაღებად. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება თფილისის ქუჩაზე დ. ჯანელიძის სახლში სრულ უფლებიან 8 კლ. გიმნაზიის შენობაში დილის 11 ს. ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5 საათ. 7 საათამდე.

კურსების გამგე დ. მხეიძე.

ქუთაისის საზოგადო განათლების საღამოს კურსების

(**რომელიც უკვე სამი წელი არსებობს**)

მასწავლებელთა კოლეგიამ განათლების სამინისტროდან დანიშნული დეპუტატის თანადასწრებით წელს მსმენელთა მესამე გამოშვება (Выпускъ) მოახდინა; მერვე კლასის **ატესტატზე** და მეექვსე და მეოთხე კლასის მოწმობებზე. საზოგადოების საყურადღებოდ **კოლეგია** აცხადებს, რომ ახალი სასწავლო წელი იწყება 5 აგვისტოდან (ახ. სტ.) თხოვნების მიღება გრძელდება. ოლდენბურგის ქუჩა, ერისთავის სახლი, რეალურ სასწავლებელთან.

6—3 **მასწავლებელთა კოლეგია.**

ანონსი

7 აგვისტოს

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ფონდის გასაძლიერებლათ

საზაფხულო საკრებულოში

გაიმართება

დიდი საღამო

ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ისარგებლეთ შემთხვევით

ამ თვის ბოლოს მივდივარ სტამბოლში. დავბრუნდები ერთი თვის შემდეგ. ვღებულობ ყოველგვარ სავაჭრო დავალებას, როგორც ვაჭრო ფირმებისას, ისე კერძო პირებისას.

ორპირის ქუჩა. აფთიაქის მაღაზია: ფრანკელ-ზილ-ბერფარბი. 9—2 ს. და 4—6 ს. დღით.

ექიმი ვ. ი. **მაჭავარიანი.** იღებს საბებიო, ქალთა საშარდე მილის და ვენერიული სნეულების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ. მისამართი: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24—1

დავკარგე 1919 წელს 23 ივლისს ქუთაისის სადგურზე პასპორტი და ვექსილები ხელმოწერილი ერთი ჯიბის კნიშკა და ხუთასი მანათი ფული მნახველს ვთხოვ დოკუმანტი და ვექსილები დამიბრუნოს ფული თვითვონ დაიტოვოს. ადრესი: მიხაილოვის ქუჩა სოლომონ ბინიაურიშვილი. მოტანისთვის მიღებს კაი საჩუქარს.

კიდევ საფრთხე!

კვლავ შავი აჩრდილი გამოჩნდა. ჩრდილოეთიდან: მამისონის ქედზე და ქართლის ოსეთის მხრით მტერი ჩვენს სადარაჯო რაზმებს უეცრად თავს დაესხა.

ეს ამბავი მოწმობს, რომ მტერი ინგლისის მიერ გავლებულს სასაზღვრო ხაზს ანგარიშს არ უწევს.

ვინ არიან თავდასხმელები? უეჭველია, ადგილობრივი მოხალისეები—ოსები,—რასაკვირველია, დენიკინის კურთხევითა და შეწევნით.

თვით დენიკინს არ შეუძლია აშკარად გადმოლახოს ინგლისის მიერ გავლებული სასაზღვრო ხაზი და ბრბო მოგვისია.

მაგრამ საქართველო ისე არ დაბეჩავებულა, რომ ბრბოებს თავხედობა არ ანანებიოს!

ყოველ შემთხვევაში საჭიროა, აუცილებელია, ჩრდილოეთის საფრთხე სამუდამოთ თავიდან ავიშოროთ.

სულ ოთხი კარია დასაკეტი: დარიალის, ქართლის ოსეთის, მამისონის და სოჩის,—ოთხივე კარი კარგად უნდა დაიკეტოს!

დღეს კი მთავრობა და ხალხი უნდა შეერთდენ თავდასხმელთა მოსაგერებლად და ხსენებულის ორი კარის დასაცავად.

და, გვწამს, ქართველი ჯარისკაცი, როგორც სხვამის, ასახელებს თავის ხმალსა და გმირულად შეებრძოლება მტერს სამშობლოს დასაცავად.

გ. ხომერიკი და ზროხის ჭირი.

რა კავშირი აქვს მინისტრს ხომერიკს ზროხის ჭირთანო? იკითხავს მკითხველი.

ის, რომ ზროხის ~~ჭირის~~ გაძლიერება და შესუსტება—ბ. ხომერიკზეა დამოკიდებული.

მკითხველს ალბად მოეხსენება, რომ ზროხის ჭირის საწინააღმდეგო შრატის სადგური დღეს ქუთაისშია.

ამგვარი სადგური რუსეთის იმპერიაში, ვგონებ, მხოლოდ ორი იყო. და დიდი მადლობის ღირსია სადგურის გამგე—ფარსვანიძე—სადგურის გადმოტანისათვის განჯის გუბერნიიდან.

რა იარაღები და ხელსაწყობებია! რამდენიც უნდა გჭრნდესთ ფული, ვერსად იშოვით ანლა ამ იარაღებს.

და რა მშვენიერად მოუწყვია გამგეს სადგური.

ეს—მთელი დიდი წარმოებაა, რომელიც რესპუბლიკას დღეს წლიურად ორ მილიონამდე აძლევს!

მეურნეობისთვის ხომ ხსენებულ შრატს განუზომელი მნიშვნელობა აქვს: აცრის შემდეგ ეს საქონელში ორი-ლა კვდება.

მაგრამ საქმის გაფართოებას წინ გადაეღობა სწორეთ ის, ვასაც, პირიქით, ხელი უნდა შეეწყო: ბიწის-მოქმედების მინისტრი—ხომერიკი.

სადგურს ბოსლები, საძოვარი და მუშათა ბინები არ აქვს და 300 სულ საქონელზე მეტს ვერ ინახავს. ამიტომ შრატი სამჯერ ნაკლები მზადდება იმ რაოდენობასთან შედარებით, რასაც ითხოვენ.

და შრატის დასაკეთად ხაზინაში ფული ხუთჯერ მეტი შემოქვსთ. დამზადებული შრატის ღირებულებასთან შედარებით.

ამიტომ გამგემ ითხოვა სადგურის გადატანა ციხის ჯვარში (ბაკურიანის ახლოს), სადაც ბინებიც საკმაოა, ბოსლებიცა და საძოვარიცა და მაშასადამე საქმის გაფართოებაც შესაძლებელია.

და, საქმე რომ იმდენად გაფართოვდეს, რომ სადგურმა მთელს კავკასიას მიაწოდოს შრატი, რესპუბლიკას ოცი მილიონიც დარჩება წმინდა მოგება!

ამისდა მიუხედავად, ხომერიკი, ეს რამდენიმე თვეა, საქმეს ~~ჯანჯღლავს~~ და ბოლოს, როგორც გავიგეთ, სადგურის გამგისთვის უარი შემოუთვლია! ბორჯომის ხეობა საზღვარ-გარეთლებს უნდა გადავსცეთ კონცესიითო, უბრძანებია!

მაგრამ, ჯერ ერთი, ამოდენა მამულის კონცესიით ერთი მოიჯარადრისათვის მიცემა ხომ წინ უდგა შვიდი დესეტინის ნორმის კანონს, რომლის ინიციატორიც თვით ხომერიკია?!

მეორე, ბორჯომის მამული რომ უცხოელებს ჩაუგდოთ ხელში, სოციალიზმი სადღა უნდა განახორციელოთ?! ოკრიბაში?!

მესამე, ბორჯომის მამული ხომ საქართველოს გულია და მისი გაცემა ხომ საშობლოს გულის ამოგლეჯას მოასწავებს?!

და მეოთხე, ხომერიკს თუ არ შეუძლია ბორჯომის მამულის კეთილად მოხმარება, ხომ არიან ჩვენში მცოდნე პირები, რომელთაც შეუძლიათ ხსენებული მამული მისი შვენიერი წყლებით, ტყით, საძოვრებითა და კურორტებით რესპუბლიკის შემოსავლის ერთერთ უმთავრეს წყაროდ გახადოს?!

მაშ რა ნება აქვს ბ. ხომერიკს ცუდად ახსენოს ძველი თავადაზნაურობა, რომელიც საქართველოს წვრილწვრილად ჰყიდდა, მაშინ როდესაც ის ბითუმად ჰყიდის?!

დასასრულ უნდა ვსთქვა; ისე გაოხრდა ყველაფერი (მაგალითად, ბორჯომის მამული, აჯამეთი და სხ.) ბ. ხომერიკის ხელში, რომ უკვე დროა მთავრობამ საქართველოს სიმდიდრე უკეთეს პატრონს ჩაბაროს!

რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება, როგორც რესპუბლიკისა და მთავრობის, აგრეთვე თვით ხომერიკისთვის.

ვასილ წერეთელი.

ინგლისური პრესა.

(საქ. დეპ. საგენტო)

ბულგარეთის ხელშეკრულება.

ბულგარეთის ხელშეკრულება გადაიდო, რადგან ამერიკის დელეგატები ვაშინგტონიდან ინსტრუქციებს მოელიან. ხელშეკრულება უკვე დასრულებულია. მასში ჯერ არაფერია ნათქვამი მხოლოდ ფრაკიის შესახებ, რომელიც ომის დასაწყისში ბულგარეთს ეკუთვნოდა, მაგრამ ეხლა მას საბერძნეთი მოითხოვს ეტნოგრაფიულ საფუძველზე და ბულგარეთს დასჯის მიზნით ამერიკელები იმის მომხრე არიან, რომ აღმოსავლეთით ფრაკია ბულგარეთს დაუტოვონ, რათა მას ზღვისკენ გასავალი მისცეს და ამნაირად, მომავალში საბერძნეთსა და ბულგარეთის შორის უთანხმოება შეუძლებელი გახდეს. ვენიზელოსმა საკითხი ასე დასვა: შეერთებული შტატები მოაწერავს თუ არა ხელს ბულგარეთის ხელშეკრულებას.

საბერძნეთის აზრით ამის პასუხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვენიზელოსის აზრით თუ ამერიკა ხელს არ მოაწერს, მაშინ არც მონაწილეობა უნდა მიიღოს მან ბულგარეთის საზღვრების შესახებ მოლაპარაკებაში. პარიზიდან წასვლის წინ ვილსონმა განაცხადა, რომ ამერიკა მზადაა ხელი მოაწეროს ბულგარეთის ხელშეკრულებას, რადგან მასში შედის შეთანხმება ხალხთა ლიგის შესახებ. მაგრამ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ამერიკის აზრი შეიცვალოს და მაშინ ამერიკის დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ მოლაპარაკებაში და ვენიზელოსის მოთხოვნილებანიც დაკმაყოფილებული იქმნება. „დეილი მეილი“ დღეს ამბობს, რომ ამერიკას სურს პატიებით მოეპყრან ბულგარეთს.

იაპონია და ჩინეთი.

ხმები გავრცელებულია, რომ საზავო კონფერენციასთან დაახლოებულ წრეებში

ჰფიქრობენ, რომ იაპონია განმარტავს თავის პოზიციას შანდუნის საკითხში და მაშინ ჩინეთს შეეძლება ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

ბერძენ-ოსმალთა ბრძოლა.

ანდინის სამხრეთით ბერძნებსა და ოსმალების შორის ბრძოლა გრძელდება. ოსმალები უკან იხევენ. ბერძნებმა რამდენიმე აფიცერი და 20 ჯარისკაცი დაკარგეს.

მოკავშირეთა საბჭოში.

მოკავშირეთა საბჭომ მოისმინა ტიტონის მოხსენება მცირე აზიაში ბერძნების და იტალიელების სამხედრო ძალების შესახებ.

ამერიკა და ბალკანეთი.

კონფერენციისთვის ამ ჟამად დიდ მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები: ამერიკა მიიღებს ბალკანეთის საქმეებში მონაწილეობას თუ არა. ამერიკას სურს, რომ მთელი ფრაკია ბულგარეთს დაუბრუნდეს და იტალიაც მას უჭერს მხარს, ხოლო ინგლისს, საფრანგეთს და იაპონიას სურთ, რომ ფრაკია საფრანგეთს გადაეცეს და ამნაირად ბულგარეთს ზღვისკენ გასავალი არ მისცენ, რასაც დასჯის ხასიათი აქვს.

გერმანული პრესა.

გერმანიის პრემიერის სიტყვა.

...(დასაწყისი არ არის მიღებული)

სხვა რომელ სახელმწიფოს შეუძლია თავი მოჰქონდეს ასეთ დემოკრატიულ წესწყობილებით. რასაკვირველია ბევრის განვითარება შეიძლება, მაგრამ ვერ აღწევენ ერთ რამეს—არსებულ პირობების გამოყენებას. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ძალები, რომლებიც შექმნიან ყველა მას, რაც აქამდე მხოლოდ ქაღალდზე იწერებოდა. ყველა ხელობის შესასწავლად დროა საჭირო, განსაკუთრებით ეს ითქმის სახელმწიფოს მართველობის შესახებ, თუმცა თანამედროვე დემაგოგები იძახიან, რომ ამისთვის საკმარისია რამდენიმე მიტინგზე დასწრება. დამოუკიდებლობს სურთ დიქტატურა, თუნდაც ეს ერთი კლასის მეორე კლასზე ტირანია იყოს. ჩვენ წინააღმდეგი ვარ ყოველივე დიქტატურისა, როგორც უხეში ძალისა. ერთნი ამბობენ, ეს საუბედურო ცდაა, რომელზედაც მე უარს ვაცხადებო, მეორენი უპასუხებენ, მე არავითარი რისკის არ მეშინიანო. პროგრესიულ მოძრაობის ძალით მოსპობა შეუძლებელია. ყინც ნამეტანი ჩქარობს ის რევოლიუციის წინამორბედი კი არა რეაქციისთვის მებრძოლია. შემდეგ თავის სიტყვაში პრემიერი შეეხო გაფიცვებს, რომელშიც რამდენიმე კვირაა თაც წესიერებას აოდვევენ, მაშინ, როდესაც ეროვნულმა ყრილობამ, და მთავრობამ, ხალხის უმრავლესობის ნდობით აღჭურვილნი, თავის თავზე ახალი ვალდებულებანი მიიღეს, და ზავს ხელი მოაწერეს. დიდ ხანს ილაპარაკა გაფიცვების მომწყობ დამოუკიდებლობის შესახებ. ღირსეული მთავრობა უნდა მოქმედებდეს. მთავრობა მოვალეა თანამემამულეებს განუმარტოს, რომ ყოველად შეუძლებელია ომის უბედურ შედეგების თავიდან აცილება და საჭიროა მათი მორჩილებით გადატანა.

ახალი ამბავი

ჩვენი გაზეთის უკანასკნელი სამი ნომერი ასოთ ამწყობების გაფიცვის გამო არ გამოსულა. დღეიდან გაზეთის გამოცემა განახლდა. დღეს ტეხნიკური მიზეზების გამო გაზეთი მხოლოდ 2 გვერდზე გამოდის. ხვალიდან ჩვეულებრივი ფორმატის გამოვა.

ფრონტის დღე. პარასკევს და კვირას ქუთაისში გაიმართა ფრონტის დღე. პარასკევს ქუთაისის ყველა ქუჩებში ფრონტის სასარგებლოდ ყულაბებით იკრიბებოდა ფული. საზოგადოება წვლილს დაუზარებლად იღებდა. კვირას ქუთაისში გაიმართა სხვადასხვა გასართობები. საერთოთ ფრონტის დღე ქუთაისში კარგად ჩატარდა. შემოსავალის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის.

კვირას ზესტაფონში გამართეს ფრონტის დღე. რომლის წმინდა შემოსავალი დარჩა 16000 მანეთი.

ერობის წარმომადგენელთა ყრილობა. დღეს 28 ივლისს ქუთაისის მაზრის ერობის გამგეობის დარბაზში მოხდება ქუთ. გუბერნიის ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.

ტეროორი ლეჩხუმ-სვანეთში. როგორც ცაგერიდან გვატყობინებენ ლეჩხუმში გამეფებულია ტეროორი. კლავენ პარტიულსა და კერძო ინტერესებისათვის. ლეჩხუმით სვანეთში გადასვლა შეუძლებელი ხდება. ამის გამო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრების ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა და მოითხოვა რომ ლეჩხუმში გაგზავნილ იქნას განსაკუთრებული კომისია.

ნ. ჩხეიძის იუბილე ზესტაფონში. კვირას 19 ივლისს ქ. ზესტაფონში ქალაქის თვითმართველობის ინიციატივით გაიმართა ნინო ჩხეიძის იუბილე, რომელსაც საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით შეხვდა. იუბილე სასახელოთ ჩატარდა.

შორაპნის მაზრაში წვრილი ერთეულების არჩევნები დანიშნულია 27 აგვისტოსთვის.

ამ მოკლე ხანში ქ. ზესტაფონში გაიხსნება მასწავლებელთა კურსები.

მსახიობი ლადო სარელი.

ორი კვირის წინ სოფ. სალომინაოში გარდაიცვალა ავათმყოფი მსახიობი ლადო სარელი.

ეს ამბავი მისმა ამხანაგებმა და ნაცნობებმა მხოლოდ რამოდენიმე დღის წინათ გაიგეს.

ქუთაისის თეატრის მსახიობებმა პანაშვიდი უძღვნეს, ქარავან-სარაიის მიკიტნებმა შენდობა გაუგზავნეს ყოველდღიურ ვიზიტორს, რამოდენიმე ნაცნობმა წყალობასავით გაბყოლა მის ხსოვნას სიტყვა „საწყალი“--ეს გაგრძელდა სულ ცოტა ხანს, ერთი ორი საათი. შეიძლება უფრო ნაკლები—და შემდეგ ყველაფერი ისევ თავის რიგზე წავიდა, ლადო სარელის გამოკლება არავის უგრძვნია, თითქმის არც კი ეცხოვრა.

რამოდენიმე დღეა უცთიდი ქუთაისის მსახიობების გამოხმაურებას ამხანაგის სიკვდილის გამო. მეგონა, რომ მსახიობები იგრძნობდენ სარელის გარდაცვალების მთელ საშინელებას, რომ ეს მათაც ეტყოდა რამეს.

შესაძლოა მის ამხანაგ—მსახიობებზე ნაკლები უფლება ქონდეს მოვაგონო ქუთაისს ლადო სარელი, მაგრამ მე ამას ვბედავ მათი დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ და კიდევ იმიტომ, რომ მივიწყება ლადო სარელის, რომლითაც ქუთაისის თეატრის ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება (პარადოქსათ ნურავინ ჩასთვლით), ერთგვარი უსამართლობაა.

მე განზრახ ვერიდები ამის მტკიცებას გაზეთში, რადგან დარწმუნებული ვარ, მრავალს, ვინც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, არასოდეს არ უგრძვნია ლადო სარელი სცენის გარეშე და ჩემი მტკიცებაც მხოლოდ ღიმილს და ჩვეულებრივ ფილისტერულ ხელის ჩაქნევას გამოიწვევს.

უკანასკნელათ უნდა უსაყვედურო ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობას, რომელმაც სეზონის გათავების შემდეგ არა თუ გაუწია დახმარება, ერთი დღით უფასოთ თეატრიც არ დაუთმო უკვე სიკვდილის პირზე მიმდგარ მსახიობს, აგრეთვე საყვედური სარელის სცენიურ ამხანაგებს, რომლებიც სიცოცხლეში უყურადღებოთ სტოვებდენ უბედურ ძმას და მის სიკვდილსაც გასაკვირალი გულცივობით შეხვდენ.

ს. კ.

თეატრი და ხელოვნება.

„სინათლე“

ზაფხულობით ქუთაისის ქართული თეატრი ძლიერ ადვილი მისაწდომია არა „დიპლომიან“ თუ „დიპლომიან“ არტისტებს გასაოცარი გამბედაობით შეუძლიათ აქ გამართონ თავისი საღამოები წარმოდგენები. საკვირველ ხელოვნებით აქვთ შესწავლილი მყვირალა რეკლამები. თითქმის ყოველ საღამოობით დასახმარებლად მოყავთ ზურნაც კი. თეატრი და ზურნა. ქალაქ ქუთაისს არაფერი არ გააკვირვებს, ყველაფერს მიეჩვია. მეტი სიხალისით ეზიდავს ქუთაისს თეატრში ყოველგვარი „ფოკუსნიკები“ და „გიპნოტიზიორები“. ქუთაისი ეძებს სენსაციურ ექსპერიმენტებს.

ქართული მუსიკა, ქართული მომღერალი მას მოეწყინა. ქუთაისში შესაძლებელია არ შესდგეს კონცერტი ი. სარაჯიშვილის და ა. ინაშვილის, მაგრამ ვიღაც გამვლელ ბედის მაძიებელს შეუძლია გაავსოს თეატრი. ფსიხოლოგიურად ადვილი ასახსნელია.

იშვიათად გამართულა საღამო, რომ ქუთაისის ექსპანსიური საზოგადოება კმაყოფილი გამოსულიყოს თეატრიდან. წინდაწინ დარწმუნებულია, რომ დადებითს ვერაფერს მიიღებს თეატრში. არც დადის. ურჩევნია არაჩვეულებრივი, მყვირალა სენსაციები. „სინათლე“ ერთი გამონაკლისია ამ საერთო ჟანგიან რკალიდან არ ვამბობ დრამის შინაგან თვისებაზე, მის დადებით თუ უარყოფით დრამატიულ მხარეებზე. თავის დროზე ბევრი ითქვა და დაიწერა. „ფუროორი“ მოახდინა. გამბედობაზე ვლაპარაკობდი. იშვიათი გამბედაობაა საჭირო რომ ეს დრამა—ქუთაისის თეატრში დადგა. „ბალეტი“ „მუსიკა“ გარეგანი რეკლამაა. ყოველ შემთხვევაში პირადათ ასე უყურებდი საკითხს. მოლოდინი გამართლდა. მგონია ინიციატორები თვითონ ვერ იწამებდენ „ბალეტის“ განსახიერების შესაძლებლობას ქუთაისის სცენაზე.

“სინათლე“-ს გამარჯვება კი გარეგან ეფექტებზეა დამოკიდებული. ფაბულა მეტად სადაა და პრიმიტიული, აღნაგი ჩვეულებრივი მუსიკალურ ხმებით და პლასტიურ ნძრევის თანსართით.

საერთო შთაბეჭდილება „სინათლის“ წარმოდგენის გლახა შედეგს იძლევა. არ სჩანს არტისტის ძალა. უკანასკნელი კი ტიტანიური უნდა იყოს ისეთ ხარ ხის დრამაში როგორიცაა „სინათლე“. ზღაპრის აჩრდილები მოითხოვს ზღაპრულ თამაშს. საჭიროა განსაკუთრებული ფსიხოლოგია, ტემპი და წების გაჭანება. მოთამაშე არტისტები კი ჩვეულებრივზე უფრო დაბალ გარეხხის არიან.

არ აქვთ შეძლება ავიდენ „როლის“ სიმაღლემდე, უკანასკნელი ოლიმპიური სიმშვიდით ჩამოყავთ დაბლა—თავის დონეზე. ასეთი იყო მეფის როლის განმასახიერებელი. სპასალარი, ვეზირი და ყველა თავიდან დაწყებული ბოლომდის ასე პროვინციალურ სცენაზე თამაშობენ უხეირო სცენის მოყვარეები.

„სინათლის“ წარმოდგენაში არის გამონაკლისი. ეს არის დარვიში ვასაძის ხელში. პირველად უყურე ასეთ პასუხის მგებ როლში. „სინათლე“ მას უკავია თამამად, მითი სუნთქავს წარმოდგენაც. იშვიათის შესაძლებლობა არის ამ ახალგაზრდა არტისტში.

აქვს თავისი სტილი თამაშის. აქვს თავისი შესაფერი განცდა აღსანიშნავია შემდეგი ხაზები მის თამაშში: არ უყვარს ცრუ ტრაგიკული ხმები. ყოველი მისი სიტყვა დასრულებულია და ცოცხალი, კვეთილი და წმინდა მისი სიტყვები საოცარ სიმძაფრით ეცემიან ძირს. იშვიათად მინახავს ქართულ სცენაზე ასე წმინდათ და გარკვევით მოლაპარაკე, ჩვენში კი სიტყვას ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას. არ მისდევს გარეგან „ხმაურს“ სხეულისას. მეტ ყურადღებას აქცევს შინაგან განცდას, რომელიც გარკვევით იკეცება მის თვალებში და საერთოდ სახეზე მისი თქმა ნელია და დაკვირვებული, მშვიდი და წყნარი. ჰარბობს სიდინჯე და სიღრმეში ჩახედვა. ყოველი მისი სიტყვა ეგუება ტანის მოძრაობას. ბევრ ძველ არტისტებს შეუძლია ისწავლოს ამ ახალგაზრდა მსახიობიდან სიარულის მნიშვნელობა და სილამაზე სცენაზე. სიტყვით ადღესასწაულებს ყურს, პლასტიკური სვლით თვალს. მათი სინტეზით ქმნის ერთ მთლიან შთაბეჭდილებას.

მგონია, რომ „სატანას“ ტიპს საუკეთესო აღმასრულებელი ეყოლება ქართულ სცენაზე ვასაძეში. მთელი მოქმედება შეიძლება ითქვას უნაკლულოთ ჩაატარა. მეტი სიძლიერე უფრო გააძლიერებდა დემონიური სიცილის ფერადებს. ეტყობა ახალი გზების შეთვისება.

მეორე მთავარი მომენტი „სინათლეში“ ფერიების თამაშია. ფერიებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ყოველ შემთხვევაში ისეთი მაინც თუ მეტი არა, როგორც ძველ ატიკურ ტრაგედიაში ფერიებს. ქუთაისის სცენის საერთო ტეხნიკური სიღარიბე ხელს უშლიდა უსათუოდ ფერიებს. იშვიათად შეიძლება შექმნა ფერიების ჰაეროვან არსებათა ილიუზიის შექმნა, თუ არ არის შესაფერისი ბადე შესაფერ სინათლეში განათებული. ფერიებში არ იყო აუცილებელი სიმჩატე და სიმსუბუქე. არ იყო დაცული საჭირო სინაზე ღარიბი გარდერობი აძლიერებს „მიწიერ“ დასაწყისს. ზღაპრულ არსებათა მაგვრათ, რომლებიც ოცნებაზე უფრო მჩატე და თეთრი უნდა იყვნენ, ვხედავდით ჩვენ ნაცნობ სახეებს, იგეთივე ადამიანებს დამახასიათებელ გარეგნულ ჟესტებით, და შინაგანი განცდებით, როგორიც ვართ ჩვენ. ეს საერთო მიზეზის ბრალი იყო—ობიექტიური ხასიათის. სურათის სიმკრთალეს სუბიექტიური ელემენტიც უწყობდა უეჭველად ხელს. ბევრს ვერ მოვთხოვთ მათ ვინც პირველად გამოდის სცენაზე და ისეთ სახეების განსასახიერებლათ, რომელიც თავის თავად წარმოადგენს სინტეტიურ ხელოვნების ანარეკლს, რომელშიაც ინასკვნება მუსიკა, პლასტიკა, სკულპტურა და სხ. მაგრამ ხელოვნებამ არ იცის კომპრომისი აქედან უნდა გამოვიდეთ დაფასების დროს თითქმის შეუძლებლათ ხდის ბალეტის ღირსეულად ასრულებას თუ მასსიურ ცეკვაში შეტანილი იქნება ფსიხოლოგიური პრინციპი. უკანასკნელი დაარღვევს საერთო სურათს, ვერ იქნება შემოქმედებითი ძალა. ბალეტის რეგულიატორი მუსიკაა. ყოველი მოძრაობა გამორკვეული უნდა იყვეს მუსიკალურ ხმით, მასთან უნდა იყვეს შეხამებული. ეს არ იყო დაცული „სინათლეს“ ბალეტში. იყო მოძრაობა წინააღმდეგი მყრალს ხმისა, იყო ზედმეტი ნაბიჯები, ხანდახან ნაკლები ბალეტმა ვერ მოგვცა სმენითი და ხედვითი შთაბეჭდილების შეხვედრა, შედუღება. ამის მიზეზი არის არიტმიულობა. სივრცის და დროს დაყოფის და მისი ნაწილაკების ერთმანეთთან შეხვედრის შეუძლებლობის მიზეზი. რიტმას შეუძლია მხოლოდ გადაიყვანოს ყოველგვარი მოძრაობა პლასტიკაში. რიტმის მნიშვნელობა მასიურ ცეკვის დროს განუზომელია. მას შეუძლია შეკრას მთელი მასსა ერთ მთლიან არსად, არ გადააცილოს მის მიერ მოხაზულ ჩარჩოებს. რიტმა კი მუსიკის ამღერებაა. ამიტომ ყოველი მოძრაობა უნდა ეხამებოდეს ორკესტრში არსებულ მოძრაობას. ასეთი შეხამება არ სჩანდა „სინათლის“ ბალეტში. აქედან გამომდინარეობდა სურათის სიმკრთალე. მაყურებელი ხედავს ერთს, ესმის მეორე. არ იყო დაცული შესაფერი წონასწორობა. მაგალითად დაუშვებელია ასეთი შეცდომები. არ ისმის მუსიკის ხმა და ვუმზერთ მოძრაობას. და ეს იმიტომ, რომ უდროოთ შემოდიოდენ სცენაზე. ან და არ გაჩუმდება მუსიკა და შემდეგ გარბიან ფერიები კულისებში. ყოველად მიუტევებელი შეცდომაა. ფერიებმა უნდა ისარგებლონ მუსიკის უკანასკნელ აკორდებით და მის ხნებში გავლენ ცეკვითვე გარეთ. უფრო კარგი იყო მეოთხე სურათი ჯოჯოხეთი ეს აიხსნება ალბათ იმით, რომ ცეკვა ხდება დაჩქარებულ ტემპით რაც აადვილებს დროის და სივრცის დაყოფილ ნაწილაკების ერთმანეთთან შეხვედრას, და დასრულებულ რიტმის შეხვედრას.

საერთოდ მეოთხე სურათი ყველაზე უფრო გამართლებული იყო მხატვრული თამაშით და დადგმით. „დარვიშის“ გარდა, რომელიც უკვე აღვნიშნე ზევით, ხაზ გასასვამია პატარიძე, ჯაფარიძე და ბოკორიშვილი, რომლებმაც შესძლეს როლების ძლევა და „ეშმაკების“ გათამაშება.

ასეთ როლების დაძლევა იშვიათად შეიძლება. ყოველ შემთხვევაში სინათლეს წარმოდგენა საერთო „წარმოდგენათა ვაკხანალიაში“ ერთი ნათენ მომენტათ უნდა ჩაითვალოს.

შ. ა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც 4 ამა ივლისს ქალაქ ქუთაისში გამართეს საღამო—სეირნობა ჩვენდამი წმუნებულ გიმნაზიის სასარგებლოდ და წმინდა შემოსავალი ოთხას სამოცდა სამი თუმანი (4630 მ.) უკვე გადმოგვცეს.

დირექტორი გიმნაზიისა **ია ეკალაძე—ცინცაძე.**

თამჯდომარე სამზრუნველო კომიტეტისა **აფ. ცინცაძე.**

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.

პირდაპირი	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1—7	— 80—	—
საფოსტო	№ 3—7 ს.	— 40—	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1 ს.	— 50—	ღამით

ბათომიდან.

პირდაპირი	№ 72—1 ს.	და 30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6—5 —	— —	დილ.
ჩქარი	№ 2—1—	— 50 წ.	ღამ.

ფოთიდან.

პირდაპირი	№ 36—8 ს.	და 28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4—12 ს.	— 55 წ.	—

ტყიბულიდან.

სამგზავრო	№ 81—10 ს.	და 20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3— 5 ს.	— 30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

პირდაპირი	№ 12 -11 ს.	და 47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2—10 ს.	და 2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4—10 ს.	— 10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6— 3 ს.	— 17 წ.	ღამით

ბათომისაკენ.

პირდაპირი	№ 44—4 ს.	და 40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3 ს.	— 30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1—6 ს.	— —	წ. დილ.

ფოთისაკენ.

პირდაპირი	№ 35 -3 ს.	და 25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილ,

ტყიბულისაკენ.

საფოსტო	№ 4—7	საათზე დილას.
სამგზავროს	№ 82—4 ს. 4 წ.	საღამოსი

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.